# უკუათვლა

კენ ფოლეტი

2015-12-14




**კენ ფოლეტი**

მთარგმნელი **ლევან ინასარიძე**
რედაქტორი **მანანა ბალიაშვილი**
კორექტორები: **მარი გუნთაიშვილი, ნინო ბიძინაშვილი**

დიზაინერი **ეთო გზირიშვილი**
ტექნიკური რედაქტორი **ლევან კოლუაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ლევან ლაცაბიძე**
პროექტის მენეჯერი **ნათია ზაქრაძე**

Originally published as CODE TO ZERO by Ken Follett
Copyright © Ken Follett 2000
Copyright in this translation © 2012 by Macmillan Publishers Limited
All rights reserved

**© გამომცემლობა პალიტრა L, 2015**
ყველა უფლება დაცულია
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. 49
238-38-71
book@palitra.ge
www.palitral.ge

* * *

...ეს ამაღელვებელი ამბავი მეორე მსოფლიო ომისა და «ექსპლორერ 1-ის» პირველი კოსმოსური ოდისეის ისტორიაა, სიმბოლურ თარიღებს შორის მოქცეული ერთი ამოსუნთქვა, თავბრუდამხვევი გასეირნება.

**O, The Oprah Magazine**

«უკუათვლა» ფოლეტის ყველაზე ძლიერი ნამუშევარია. რეტროსპექტიულ კადრებს ისტორია II მსოფლიო ომის პერიოდის სტუდენტური ცხოვრებიდან 1958 წლამდე მიჰყავს. ეს ლამაზად აგებული ამბავი, დამაინტრიგებელი პასაჟებით პირველივე თავიდან ახერხებს მკითხველის დატყვევებას და ასე გრძელდება ბოლო გვერდამდე.

**ჯეინ ადამსი, მსახიობი**

კენ ფოლეტი გასაოცარი ოსტატობით აგებს სიუჟეტურ სვლებს. მისი პერსონაჟები დამოუკიდებელი, ძლიერი და საინტერესო ადამიანები არიან – არც თუ მარტივი ცხოვრებისეული კოლიზიების წინაშე დარჩენილნი.

**San Francisco Chronicle**

მკითხველი წიგნის ყოველ გვერდზე ლუკასს თანაუგრძნობს. თან ელის, რა მოხდება. ელის, როგორ შეიცვლება მთავარი გმირის ბედი. და მწერალი წიგნის ყოველ გვერდზე საოცარ კვანძებს ხლართავს. და შემდგომ მოულოდნელად ამ ნასკვებსაც თითო-თითოდ გვიხსნის.

**Publishers Weekly**

კენ ფოლეტი თრილერის ჟანრის დიდოსტატია. მისი ნებისმიერი რომანი ჟანრის უდავო შედევრია. დაძაბული და ამაღელვებელი ამბავი, უცნაური დროის უცნაურად აღქმულ ადამიანებზე.

**Library Journal**

კენ ფოლეტი მორიგ რომანს გვთავაზობს. საუცხოოდ მოთხრობილ ამბავს შპიონაჟზე. წიგნის თითოეული ეპიზოდი კინემატოგრაფიული გამომსახველობით იპყრობს ჩვენს ყურადღებას და მოვლენების თავბრუდამხვევ მორევში გვითრევს. ეს ფოლეტია. ჟანრის დიდოსტატი.

**The New York Times**

ნაწარმოების ყოველი თავი, ყოველი მომდევნო ეპიზოდი ემოციურად საოცრად დატვირთულია, მოულოდნელი და დაძაბული. მკითხველი ერთი დიდი საიდუმლოს ამოხსნას იწყებს და მოუთმენლად ელოდება ფინალს – გასაღებს. ლოდინი ამად ღირს, რადგან მწერალი შესაშური ოსტატობით პატარ-პატარა ნაბიჯებით, შეფარულად ხსნის მთავარ ამბავს.

**BBC**

რომ არა ფოლეტის თრილერები, აღბათ ვერასოდეს შევძლებდი ამ ჟანრისგან ასეთი დიდი სიამოვნების მიღებას. წიგნს უდიდესი მომხიბვლელობა აქვს. თრილერის ჟანრში ეს ნაწარმოები პროფესიონალიზმის ტრიუმფია.

**The Guardian Book Review**

* * *

ისტორიული შენიშვნა: პირველი ამერიკული კოსმოსური ხომალდის, „ექსპლორერ-1“-ის გაშვება თავდაპირველად 1958 წლის 29 იანვარს იყო დაგეგმილი. გაშვება მეორე დღისთვის გადაიდო. მიზეზად ამინდი დასახელდა. კანავერალის კონცხზე მყოფი დამკვირვებლები გაოცდნენ, რადგან ფლორიდაში მზიანი, უქარო ამინდი იყო. მაგრამ შეიარაღებული ძალების განცხადებით, დიდი სიმაღლის ქარები, ჭავლურ დინებას რომ უწოდებენ, არახელსაყრელ ამინდს მოასწავებდა.

ხომალდის გაშვება შემდეგი საღამოსთვის გადაიდო და მიზეზიც იგივე დასახელდა.

საბოლოოდ გაშვება 31 იანვარს, პარასკევს სცადეს.

* * *

დასაწყისიდან, 1947 წლიდან, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მილიონობით დოლარი დახარჯა უმთავრეს პროგრამაზე: ეპოვა ისეთი წამალი ან ეზოტერიკული მეთოდი, რომელიც უბრალო ადამიანებს სრულად გააკონტროლებდა და, შესაბამისად, უნდოდათ თუ არა, ბრძანების მიხედვით მოიქცეოდნენ: იტყოდნენ, გათქვამდნენ, აღიარებდნენ ყველანაირ საიდუმლოს ისე, რომ არც კი ეცოდინებოდათ, ბრძანებას რომ ასრულებდნენ.

თომას ფაუერსი, შესავალი ჯონ მარქსის ნაწარმოებისა „მანჯურიელი კანდიდატის ძიება: ცსს და გონების კონტროლი“.

# ნაწილი 1

## 05:00

*რაკეტა-მატარებელი „იუპიტერ-სი“ კანავერალის კონცხზე, კომპლექს 26-ის გასაშვებ მოედანზე, სრულ მზადყოფნაში დგას. უსაფრთხოების თვალსაზრისით, ბრეზენტი აქვს გადაფარებული, რომელიც კუდს ვერ უფარავს. კუდის ნაწილი კი სწორედ ისეთი აქვს, როგორც „რედსტოუნის“ საბრძოლო რაკეტას, თუმცა დანარჩენ კორპუსს სრულიად უნიკალური შეიძლება ეწოდოს...*

ელდანაცემს გამოეღვიძა.

კიდევ უარესი: გულგახეთქილს! გული ღამის საგულედან ამოვარდნოდა, სუნთქვა ეკვროდა და ერთიანად დაბუჟებულიყო. თითქოს კოშმარი დაესიზმრაო, მაგრამ არც გამოღვიძებამ მოჰგვარა შვება. გრძნობდა, რომ რაღაც საშინელება იყო მომხდარი, მაგრამ რა — ზუსტად ვერ იტყოდა.

თვალები გაახილა. მეზობელი ოთახიდან ბჟუტი შუქი შემოდიოდა და გარემოს მქრქალად ანათებდა. ირგვლივ ყველაფერი ბუნდოვანი (მართალია, ნაცნობი), მაგრამ ერთგვარად ავის მომასწავებელი იყო. სადღაც ახლოს წყლის ჩხრიალი ისმოდა.

დამშვიდება სცადა. ნერწყვი გადაყლაპა, ჩაისუნთქა და გონება მოიკრიბა. მაგარ იატაკზე იწვა. ისე აციებდა და ძვლებშიც ისე ტეხდა, თითქოს ნაბახუსევი იყო. გული ერეოდა, თავიც სტკიოდა და პირიც გაშრობოდა.

შიშისგან აცახცახებული წამოჯდა. ისეთი სუნი სცემდა, თითქოს იატაკი სადეზინფექციო საშუალებით მოერეცხათ. ჩამწკრივებული პირსაბნები გაარჩია.

საზოგადოებრივ ტუალეტში იყო.

როგორც კი გაიფიქრა, მამაკაცების ტუალეტში გამიტარებია ღამეო, ზიზღი დაეუფლა. რა ჯანდაბა დაემართა ნეტავ? ისევ გონების მოკრება სცადა. ჩაცმული იყო, პალტო და მძიმე ჩექმაც კი ეცვა, თუმცა ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ნათხოვარი აცვიაო. პანიკას ნელ-ნელა მოერია, მაგრამ უფრო ღრმა შიშმა დარია ხელი, რომელიც გულის სიღრმეში გაჩენილმა გონივრულმა ეჭვმა გამოიწვია. აშკარა იყო, კარგი არაფერი დამართოდა.

სიბნელეში ვეღარ გაჩერდებოდა.

ფეხზე წამოდგა. ირგვლივ მიმოიხედა, სიბნელეს თვალი გაუსწორა და გასასვლელ კარს დაუწყო გუმანით ძებნა. ხელის ცეცებით კედლისკენ წავიდა. კედელზე ხელით ცივ და სლიკინა ზედაპირს მიაგნო და მიხვდა, სარკე იქნებაო. მერე პირსახოცის საკიდს წააწყდა, ამის შემდეგ რაღაც ფოლადის ყუთს, რომელიც ნახმარი ხელსახოცების ჩასაყრელი ურნა უნდა ყოფილიყო ზედაპირზე გაკეთებული ჭრილით. ბოლოს კი თითები ოდნავ ამობურცულ ლილაკს შეახო, რომელიც სინათლის ჩამრთველი აღმოჩნდა და შუქიც აანთო.

მკაფიო სინათლემ თეთრი კაფელით მოპირკეთებული კედლები და ლიაკარიანი ტუალეტის კაბინების რიგი გაანათა. კუთხეში ძველი ტანსაცმლის გროვა მოჩანდა. გაიფიქრა, ნეტავ აქ როგორ მოვხვდიო. გონება დაძაბა. რა მოხდა წუხელ, ვერაფრით გაიხსენა.